მართმსაჯ. სახ. სამ. საბჭოს
რესპუბლიკური
ბიბლიოთეკა

იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

სამშობლოს ხმა


უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-11 წელი

№ 8 (168)

აპრილი,

1967 წელი



თბილისი, რესპუბლიკური ბიბლიოთეკის ხედი.



საქართველოში ვიზიტორები

წიგნები წიგნები, წიგნები...

ორმოცდაექვსი წლის მანძილზე საქართველოში გამოიცა 65.000 დასახელების წიგნი 315 მილიონი ეგზემპლარი საერთო ტირაჟით. ამათგან თითქმის 44.000 დასახელება ქართულ ენაზეა.

1913 წელს დღის სინათლე იხილა მხოლოდ 247 წიგნმა (საერთო ტირაჟი 500.000 ეგზემპლარი). 1966 წელს გამოშვებულია 2.000-ით მეტი წიგნი, ტირაჟი კი 30-ჯერ გაიზარდა!

კ. მარქსის, ფ. ენგელსის და ვ. ი. ლენინის შრომები გამოიცა 400-ჯერ. ამ წიგნების თითქმის 90 პროცენტი ქართულ ენაზეა.

◆

ამ ხუთიოდე ათეული წლის წინათ საქართველოში მხოლოდ 129 ბიბლიოთეკა არსებობდა. დღეს კი მარტო კულტურის სამინისტროს სისტემაში არსებობს დაახლოებით 2.600 მასობრივი ბიბლიოთეკა, რომელთა წიგნის ფონდი 16 მილიონზე მეტია. თუ მათ რიცხვს პროფკავშირების და სხვა ორგანიზაციათა ბიბლიოთეკებს დავუმატებთ, ციფრი, რა თქმა უნდა, უფრო გაიზრდება.

საქართველოში ყველაზე დიდ წიგნსაცავს კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკა წარმოადგენს. ამ გიგანტის წიგნის ფონდი ამჟამად 4 მილიონ 324 ათასი ტომით (9.366.898 საბიბლიოთეკო ერთეული) განისაზღვრება. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ექვსი წლის მანძილზე, 1960 წლიდან, ფონდი 2 მილიონზე მეტი საბიბლიოთეკო ერთეულით გაიზარდა.

საიუბილეო წელს დასახულია გაიხსნას 150 სოფლის, 4 საბავშვო, 7 საქალაქო და 9 მოძრავი ბიბლიოთეკა. გარდა ამისა, სოფლის კლუბებთან მოეწყობა 200 ბიბლიოთეკა.

რესპუბლიკური ბიბლიოთეკა საერთაშორისო აბონემენტის ცენტრს წარმოადგენს საქართველოში. გარდა ამისა, მას აქვს საერთაშორისო აბონემენტი, რომლის საშუალებითაც მკითხველს მსოფლიოს ყველა ბიბლიოთეკიდან შეუძლია სასურველი წიგნის მოთხოვნა. წარმოებს აგრეთვე საერთაშორისო გაცვლა-გამოცვლა მსოფლიოს 70 უდიდეს ბიბლიოთეკასა და ორგანიზაციასთან. 1966 წელს ბიბლიოთეკამ 459 წიგნი და პერიოდული გამოცემა მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ბულგარეთის, უნგრეთის, ფედერაციული გერმანიის, აშშ-ის, ინდოეთისა და სხვა ქვეყნების ორგანიზაციებისაგან და სამაგიეროდ მათ 335 ქართული გამოცემა გაუგზავნა.

ო. თაქთაქიშვილი.
საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი.

ზღვა, მთები და ხეობები

შავი ზღვის სანაპიროდან ალმოსავლეთისაკენ გადაჭიმულა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა თავისი ნაყოფიერი ველ-მინდვრებითა და ბაღ-ვენახებით. საქართველო კავკასიონის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. მას ესაზღვრებიან: რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა, აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები. საქართველოს საზღვარგარეთელი მეზობელია თურქეთი.

საქართველოს სსრ ფართობი 70 ათასი კვადრატულ კილომეტრს შეადგენს, ტერიტორიის 80 პროცენტი მთაგორიანია.

საქართველოს სსრ შემადგენლობაში შედის: აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

თუ თქვენ გსურთ ახლოს გაიცნოთ საქართველო, დაუსწრებლად ემოგზაუროთ მის მთებსა და ხეობებში, წაიკითხეთ გ. ხუცოშვილის ცნობარი „საქართველო“, რომელიც ძალიან საინტერესოა თავისი შინაარსით და შესანიშნავადაც არის ილუსტრირებული (დაახლოებით 80 ფოტოსურათი). იგი ამას წინათ გამოსცა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“.

ხალხის სიამაყე

პ. მარქსის სახელობის რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში ინახება პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“, რომელიც ნიკიფორე ირბახმა (ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა) და პაოლინი სტეფანომ 1629 წელს გამოსცეს, და 1670 წელს დასტამბული „ქართული ენის გრამატიკა“. ჩვენს ბიბლიოთეკას აქვს „დავითონი“, რომელიც 1705 წელს არის დასტამბული მოსკოვში ქართველი ემიგრანტი მეფის არჩილის მიერ დაარსებულ სტამბაში; 1712 წელს ვახტანგ მეექვსის მიერ გამოცემული პირველი ნაბეჭდი „ვეფხისტყაოსანი“, აგრეთვე სხვა წიგნები, რომლებიც ვახტანგ მეექვსის სტამბაში დაიბეჭდა 1709-1722 წლამდე. ბიბლიოთეკის შეძენით გამოცემათა ფონდში ინახება პეტერბურგში XIX საუკუნის პირველ ნახევარში გამოცემული ქართული წიგნები. ასე მაგალითად: „სამედიცინო წიგნი“, ქართველ სტუდენტთა ლექსების კრებული, როძელიც რუსეთის სამეცნიერო აკადემიის სტამბაშია დაბეჭდილი.

პ. კანდელაკი,
რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

კიდევ ერთი „ცნობარი“

წიგნში — „საქართველო“, რომელსაც მალე გამოსცემს გამომცემლობა „მისლ“, არის ასეთი სტრუქტურები: „საქართველოში არსებობს 4.300 საერთოსაგანმანათლებლო სკოლა, რომლებშიც 800 ათასზე მეტი ახალგაზრდა სწავლობს. შექმნილია მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლები. გახსნილია 70-მდე სკოლა-ინტერნატი, არსებობს 85 საშუალო სპეციალური სასწავლებელი, 18 უმაღლესი სასწავლებელი“. მაშინ როცა 1918 წელს ახლად დაარსებული უნივერსიტეტი ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელი იყო საქართველოში.

რამდენი სკოლაა ახლა რესპუბლიკაში? დღეისათვის რესპუბლიკის მოსახლეობას 4.685 სკოლა ემსახურება.

ტირაჟი 16.000.000

- წელს საქართველო გამოუშვებს დაახლოებით 1.600 დასახელების წიგნსა და ბროშურას.
- ამ გამოცემების ტირაჟი 16 მილიონ ეგზემპლარს გადააჭარბებს.

იცით თუ არა თქვენ, რომ?..

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წლებში გამოიცა ექვსჯერ მეტი წიგნი, ვიდრე გასაბჭოებამდე ქართული ბეჭდვითი სიტყვის მთელი ისტორიის მანძილზე.

საგამომცემლო პროდუქციის მოცულობით (წიგნის დასახელებათა რიცხვით საქართველოს მეოთხე ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირში (რუსეთის, უკრაინის და ლიტვის შემდეგ).

საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებიდან 985 დასახელების წიგნია გადმოქართულებული.



„საქართველოს“ — ლენინური პრემია

მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში 1967 წლის ლენინური პრემია მიენიჭა ჩაის საკრეფი მანქანის „საქართველოს“ შემქმნელ ჯგუფს, რომელსაც ხელმძღვანელობდა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე შალვა იასონის-ძე კერესელიძე.

სურათზე: „საქართველო“ ჩაის პლანტაციაში.

სტეფან ცვაიგის ბაღის ვარდები

პირადი ბიბლიოთეკის ყველაზე საყვარელ წიგნებს შორის სათუთად ვინახავ სტეფან ცვაიგის „მოკლე ქრონიკებს“, რომელიც ლიპაციგშია გამოცემული ამ ორმოციოდე წლის წინათ.

ამ წიგნში დასტამბულია ცვაიგის ოთხი ნოველა: „უჩინარი კოლექცია“, „შემთხვევა ჟენევის ტბაზე“, „ლეპორელლა“ და 1929 წელს დაწერილი (წიგნიც ამ წელს გამოიცა) „მენდელ-ბუკინისტი“. ჩანართის ფურცელზე ასეთნაირი წარწერაა: „ბრიგიტ ზაქარიასძე ფიცხელაურს გულითადი პატივისცემის გრძნობით. სტეფან ცვაიგი. 1929“.

იმ დღეების ყოველი წვრილმანი კარგად მახსოვს. მაშინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი გახლდით და ერთდროულად კონსერვატორიაში კომპოზიციის კლასში ვსწავლობდი. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სტეფან ცვაიგის ნაწარმოებმა — „გრძნობათა აფორიაქება“ და გადავწყვიტე ის მუსიკით გადმომეცა.

მალე დავწერე და შემდეგ გამოვეცი კიდეც ასეთივე სახელწოდების კომპოზიცია, რომელიც ავტორს ეძღვნებოდა. მუსიკალური ნაწარმოების ეგზემპლარები ამანათში ჩავდე და ზალცბურგს გავგზავნე. მაშინ მწერალი იქ ცხოვრობდა.

და აი თბილისში ჩემს სახელზე მოვიდა პაკეტი. მასში იდო წიგნი და წერილი, რომელსაც აქ მთლიანად ვაქვეყნებ:

20 ნოემბერი 1929

ზალცბურგი, კაპუცინის გორა, 5

დიდად პატივცემულო ბატონო!

თქვენი მუსიკის გამოგზავნით დიდი სიამოვნება მომანიჭეთ. ის ფაქტი, რომ იგი ახალგაზრდა კაცის ნახელავია და ასე შორეული კუთხიდან მოვიდა, კიდევ უფრო ამაღლებს ამ საჩუქრის ფასს ჩემს თვალში.

ყოველთვის იმაზე ვოცნებობ, რომ ერთხელ მაინც მოვხვდე ტფილისში; შინაგანი მოთხოვნა ხომ ჩვეულებრივ სრულდება ხოლმე. ასე რომ, ვინ იცის, ერთ დღეს იძულება მოგვეცეს საშუალება მოულოდნელად ჩამოგბართვათ ხელი და გითხრათ, თუ რა სასიამოვნო საჩუქარი იყო ჩემთვის თქვენი ამანათი.

ნება მომეცით დღეს მხოლოდ ერთი პატარა ფიქრით გიპასუხოთ.

გულითადი სალმით თქვენი სტეფან ცვაიგი“.

...გასულ წელს საბჭოთა მეცნიერების დელეგაციასთან ერთად ვმონაწილეობდი გერონტოლოგთა და ჰერიატრთა ვენის VII ინტერნაციონალური კონგრესის მუშაობაში და ზალცბურგშიც შევიარე. მინდოდა მენახა ის ადგილები, სადაც ცვაიგი ცხოვრობდა. აქ მე დავთვალიერე მწერლის სახლი. ის იმავე ქუჩაზეა, მაგრამ ქუჩას ახლა „სტეფან ცვაიგის გზა“ ეწოდება.

გულდაწყვეტილი გავყურებდი ბაღის ხეებს, ვარდის ბუჩქებს — ჩვენი დროის ერთ-ერთი შესანიშნავი მწერლის დიდებული და მწარე ცხოვრების ცოცხალ მოწმეებს. და ბაღში, რომელიც ასე უყვარდა ს. ცვაიგს, მე დავკრიფე ვარდები და ჩამოვიტანე მშობლიურ თბილისში, სადაც ჩამოსვლა ცვაიგის ოცნება იყო...

გ. ფიცხელაური,

პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.

ქ. თბილისი.



60.000 ტომი საჩუქრად

იოსებ გრიშაშვილს თავდავიწყებამდე უყვარდა წიგნი. დაუღალავი ძიებითა და უზარმაზარი შრომის შედეგად მოაგროვა მან სამოცი ათასი ტომი. ეს მდიდარი შენაძენი, აგრეთვე საკუთარი არქივი, 336 სამუზეუმო ექსპონატი, სხვადასხვა პიროვნებების 1200-მდე ფოტოსურათი, ძველი თბილისის ცხოვრების იშვიათი სურათები, ასობით გრამჩანაწერი საქართველოს სახალხო პოეტმა, აკადემიკოსმა ი. გ. გრიშაშვილმა (1889-1965 წ. წ.) სიცოცხლეშივე აჩუქა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით უნდა გამოიცეს გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის წიგნების კატალოგი ოთხ ტომად.

პირველი ტომი უკვე ისტამბება.

ბიბლიოთეკაში ინახება ისეთი წიგნებიც, რომლებიც სტამბაშივე გაანადგურა მეფის ცენზურამ. ი. გრიშაშვილმა შეძლო აქ წიგნების თითო ცალი შემოეხახა (კრებული „ნიავი“, ა. წერეთლის „კორონცოვი“ და სხვ.).

აქ უძველეს უნიკალურ გამოცემებსაც შეხვდებით. ასეთია, მაგალითად, ვოლტერის პირველი რუსული თარგმანი, შესრულებული XVIII საუკუნეში. ნახავთ პუშკინის, კრილოვის, ტურგენევის, ნეკრასოვის, ტოლსტოის და სხვათა წიგნებს, რომლებიც მათსავე სიცოცხლეშია დასტამბული.

ბიბლიოთეკაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მინიატურულ გამოცემებს. ეს იშვიათი კოლექცია 15-ზე მეტ ცალს შეიცავს, რომელთაგან რამდენიმე შედევრია პოლიგრაფიული გაფორმების თვალსაზრისით. აი პუშკინის „ევგენი ონეგინი“, რომელიც ვარშავაშია გამოცემული ამ 70 წლის წინათ. მინიატიურული წიგნი ასანთის კოლოფს მეოთხედია! ჩასმულია ლითონის ჩარჩოში. ცოტა მეტია შილერის „ორლეანელი ქალწული“ და გოეთეს „გერმანე და დოროთეა“ და სხვ.

ბიბლიოთეკის იშვიათ კოლექციაზე უსასრულოდ შეიძლება ლაპარაკი...

ა. ციციშვილი,

ბიბლიოთეკა-მუზეუმის გამგე.

ფართო დიაპაზონი

საქართველოში არაერთი დიდი მეცნიერი მოღვაწეობს. ზოგიერთი მათგანი მრავალი ქვეყნის აკადემიებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წევრია.

უკანასკნელ წლებში აკადემიურმა გამომცემლობა „მეცნიერებამ“ რამდენიმე ასეული მონოგრაფია და მეცნიერული ნაშრომი გამოსცა. ქართველი მათემატიკოსების ბევრ ნაშრომს დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება. ასეთებია: აკადემიკოს ნ. ი. მუსხელიშვილის „მათემატიკური დრეკადობის თეორიის ზოგიერთი ძირითადი ამოცანები“, აკადემიკოს ი. ნ. ვეკუას „განზოგადებული ანალიზური ფუნქციები“, აკადემიკოს ვ. დ. კუპრაძის „პოტენციალის მეთოდები დრეკადობის თეორიაში“ და სხვ.

ფრიად არსებითს თეორიულ და ექსპერიმენტულ შედეგებს მიაღწევს ქართველმა ფიზიკოსებმა კვანტურ ჰიდროდინამიკასა და მყარი სხეულების დაბალტემპერატურიანი მაგნიტური თვისებების გამოკვლევაში. ფიზიკის ინსტიტუტში შექმნილია მსოფლიოში პირველი ტრეკული კამერა.

პირველად თბილისის რეაქტორზე დასრულდა გამა რადიაციის მძლავრი წყაროს დამონტაჟება, რომელმაც მნიშვნელოვნად გააფართოვა ატომური რეაქტორების შესაძლებლობანი. ფართოდ არის ცნობილი აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის მეცნიერული მიღწევები.

რესპუბლიკაში ინტეგრება მეცნიერების ისეთი დარგები, როგორიც არის კიბერნეტიკა, ელექტრონიკა, ავტომატიკა, ტელემექანიკა და სხვ. მთელი ავტომატური სისტემა, რომელიც უკვე წარმატებით მუშაობს თბილისის სტაბილური იზოტოპების ქარხანაში, ქართველმა მეცნიერებმა შექმნეს.

მსოფლიოს ყველა კუთხეში იცნობენ ქართულ ფიზიოლოგიურ სკოლას, რომელსაც აკადემიკოსი ი. ს. ბერიტაშვილი უდგას სათავეში.

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ქართველმა მეცნიერებმა შუა და ახლო აღმოსავლეთის და კავკასიის ხალხთა ენების ისტორიის და ლიტერატურის პრობლემების შესწავლის საქმეში.

უკანასკნელ დროს გამოქვეყნდა აკადემიკოსების გ. ვ. წერეთლისა და გ. ა. მელიქიშვილის ფუნდამენტალური ნაშრომები ქართული კულტურის და კავკასიის ისტორიის საკითხებზე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში, რომელიც მეოთხედი საუკუნეა არსებობს, 53 აკადემიკოსი და 31 წევრ-კორესპონდენტია.

აკადემიის სისტემაში 3.500 მეცნიერი თანამშრომელი, 190 დოქტორი და 1000-მდე მეცნიერების კანდიდატი მუშაობს.

ს. დურმიშიძე,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მთავარი სწავლული მდივანი.

• • •

სურათზე: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი.

გამომცემლობები, სტამბები

საქართველოში გამოდის წიგნი, რომელშიც ასახული იქნება რესპუბლიკის უძველესი პოლიგრაფისტის ივანე ნაცვლიშვილის შრომითი ცხოვრების გზა. აბა თვით ამაგდარ მუშაკს მოვუსმინოთ:

— 60 წლის წინათ შევაღე ქართული საგამომცემლო ამხანაგობის სტამბის კარი. მასში მარტო ორი საბეჭდი მანქანა იდგა, ისიც ხელით სამუშაო.

დღეს საქართველოში ლიტერატურის გამოცემაზე მუშაობს რვა გამომცემლობა: „საბჭოთა საქართველო“, „განათლება“, „ლიტერატურა და ცხოვრება“, „ნაკადული“, „მეცნიერება“, „ალაშარა“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის წიგნის გამომცემლობის სექტორი.

რესპუბლიკაში 85 სტამბაა. შენდება ახალი პოლიგრაფიული კომბინატი.

12 საუკეთესო

ამას წინათ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო გამოცემა, საქართველოს მხატვართა და პოლიგრაფიის მუშაკთა ერთი ჯგუფი დაჯილდოვდა სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ოქროს მედლებით. ახლახან რესპუბლიკის უიურიმ საკავშირო კონკურსზე გაგზავნა მხატვრულად და პოლიგრაფიულად სრულყოფილი თორმეტი წიგნი, მათ შორის:

რუსთაველის პოემის ორი გამოცემა;

„ვეფხისტყაოსანი“ — ლევან ცუცქირიძის მიერ შესრულებული ნახატების კრებული;

„შოთა რუსთაველის აფორიზმები“ (მხატვარი თ. სამსონაძე);

გ. ტაბიძის ლექსების კრებული „ატმის ყვავილები“;

პოეტ ი. აბაშიძის წიგნი „მიახლოება“ (გაფორმებული მხატვარ ი. ჯანაშვილის მიერ);

ხალხური ეპოსი „არსენას ლექსი“ (მხატვარი ა. ბანძელაძე);

რ. მეფისაშვილის „გელათის არქიტექტურული ანსამბლი“.



სურათზე: სცენა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლიდან „ვეფხისტყაოსანი“. წინა პლანზე — სსრ კავშირის სახალხო არტისტი სერგო ზაქარიაძე (მარჯვნივ) და რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გურამ საღარაძე.

წიგნი და მსახიობი

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარი არჩევულებრივად მაღალი მისწრაფებების ეპოქაა. ბევრი რამ ინგრევა და ბევრიც ახალი იქმნება. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ შენდება ახალი სამყარო, იზრდება ახალი ადამიანი. ყოველივე ეს კონკრეტულად ვლინდება ცხოვრების ყველა სფეროში და, ჩემი აზრით, განსაკუთრებით თეატრალურ, სამსახიობო ხელოვნებაში.

თუ ადრე, მრავალი წლის წინათ, მსახიობის თამაშში წამყვანი ადგილი ემოციურობასა და ბუნებრივ ნიჭს ეჭირა, დღესდღეობით მსახიობისათვის მთავარს გონება და ინტელექტი წარმოადგენს. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი დროის მსახიობისათვის უცხო ხილს არ უნდა წარმოადგენდეს წიგნი.

იგი უნდა მეგობრობდეს ყველანაირ წიგნებთან — ისეთ წიგნებთან, რომლებიც მისი სულის ნაწილი ხდება, და ისეთებთანაც, რომელთა გადაფურცვლა სიამოვნებას მიანიჭებს თავისუფალ დროს. ძალზე სამწუხაროა, რომ არ გამაჩნია ასეთი თავისუფალი დრო. კარგი კი იქნებოდა სულიერი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად! სული ხომ არსებითად თვითონ წარმოადგენს წიგნს, მერე რა, რომ დასტამბული არ არის. მაგრამ ეს „წიგნი-სული“ მრავალი ათასი გვერდისაგან შედგება, რომელიც სიცოცხლის წლებში წაგიკითხავს კაცს. ეს არის განძი, საიდანაც ადამიანი და პირველ რიგში მსახიობი უნდა ჰკრეფდეს მარგალიტებს, ეს არის არაჩვეულებრივი ბიბლიოთეკა, რომელიც ყოველთვის თან გახლავს, შეწია და შეგიძლია ყოველთვის სრულიად უგანაღებოდ გაალო, როცა ქმნი, ძერწავ მხატვრულ სახეს.

შეიძლება ამის შესახებ არც ისე ბევრმა იცოდეს, მაგრამ მე ხშირად მიმიმართავს ამ ბიბლიოთეკისათვის, როცა გიორგი მახარაშვილის სახის შექმნაზე ემუშაობდი ყველასათვის ნაცნობ ფილმში — „ჯარისკაცის მამა“. სწორედ ცხოვრების წიგნიდან ამოვიღე ადამიანის ასეთი ლამაზი სული.

უნდა ვაღიარო, რომ წიგნებს საკმაოდ ხარბი თვალით ვუყურებ. მღელვარებით ჩავუვლი ხოლმე წიგნის მაღაზიას: თუ შევედი, გამოსვლას ვეღარ მოვიფიქრებ, ისე გავერთობი. ჩემი ბინის უმეტესი ნაწილი წიგნებს უჭირავს, მაგრამ ისინი ჩემთვის, ჩემი პროფესიისათვის ჯერ კიდევ ცოტა მეჩვენება. ეს იმიტომ, რომ მსახიობმა უამრავი რამ უნდა იცოდეს, ცოდნას კი ბევრი კითხვა იძლევა! არის წიგნები სამაგიდო, საყვარელი, ძვირფასი. მაგრამ ახლა ვერც კი დაგისახელებთ რომელი წიგნებია ჩემთვის ყველაზე ძვირფასი. ალბათ ისინი, რომლებითაც ცოცხლობენ ჩემი დღევანდელი გმირები. და ჩემდა საბედნიეროდ, სამუშაო მაგიდაზე დღეს უამრავი წიგნი მიწყია.

სერგო ზაქარიაძე,

საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი.

ექსლიბრისები

საქართველოს სახალხო მხატვარმა, რუსთაველის პრემიის ლაურეატმა ლადო გუდიაშვილმა მშვენიერი მხატვრული ტილოები შექმნა, რომლებმაც საყოველთაო აღიარება ჰპოვა. მის ყალამს ეკუთვნის აგრეთვე მრავალი თეატრალური დეკორაცია, წიგნის ილუსტრაციები, მაგრამ ამ მცირე წერილში ამაზე როდი ვილაპარაკებთ. გვინდა გავაცნოთ მისი მუშაობა მცირე გრაფიკის — ექსლიბრისის სფეროში.

1933 წელს მან წიგნის სამი ნიშანი შეასრულა. საკუთარი წიგნებისათვის, ი. გრიშაშვილისა და ლ. ურეკლიანისათვის.

ავტორის ექსლიბრისზე მხატვარმა გამოხატა ლომის ნადირობა ფურ-ირმებზე მიუვალ კლდეებში.

ი. გრიშაშვილის ექსლიბრისი ეხმაურება პოეტის სულს... ქუჩაში, სადაც მოხუცი ქალების ჯგუფი გამოფენილა, მიდის კინტო, რომელსაც თავზე წიგნებით სავსე გობი უდგას...

თავისებურად არის გადაწყვეტილი ლ. ურეკლიანის ექსლიბრისიც. ცნობილი მუსიკათმცოდნე ჩაფიქრებული დასცქერის ჩონგურის სიმებს...

სამივე ექსლიბრისი ისეთი სტილით არის შესრულებული, რომელიც მხოლოდ ლადო გუდიაშვილს ახასიათებს, როგორც ჭეშმარიტად ეროვნული ხელოვნების დიდ ოსტატს.

ვ. წილოსანი,

მხატვარი-გრაფიკოსი.

ციფრები, ფაქტები

მთელ მსოფლიოშია ცნობილი, რომ რუსთავი ქართული ფოლადის სამჭედლოა, რომ რუსთავის მეტალურგიული გიგანტი ქართული ინდუსტრიის სიამაყეა. მაგრამ დღეს მარტო ამით როდია იგი სახელგანთქმული — უკანასკნელ წლებში აქ აშენდა მძლავრი ქიმიური საწარმოები, მათს შორის კაპროლაქტამის დიდი ქარხანა.

ნახევარი საუკუნის წინათ საქართველომ ისეთი პროფესიის შესახებ, როგორიც არის მეფოლადე ან ქიმიკოსი, ელექტროტექნიკოსი თუ ჩაის საკრეფი მანქანის მექანიკოსი, არაფერი იცოდა... და განა მარტო ეს! ათობით ახალი პროფესია მოიტანა აქ საბჭოთა ყოფამ. აი როგორ გამოიხატება ეს სიახლე ციფრებით და ფაქტებით.

საქართველო ამზადებს მაღალხარისხოვან მანგანუმსა და ფეროშენადნობებს, ფოლადის მილებსა და ხარისხოვან ნაგლინს, ფოლადსაჭრელ ჩარხებსა და ზუსტ ხელსაწყოებს, ავტომანქანებსა და ელმავლებს, ნაირნაირ ქსოვილებსა და ტანსაცმელ-ფეხსაცმელს, არომატულ ჩაისა და სასიამოვნო ღვინოებს...

1965 წელს ქართველმა მეტალურგებმა გამოუშვეს 820 ათასი ტონა თუჯი, 1.350 ათას ტონამდე ფოლადი, 995 ათასი ტონა ნაგლინი და წარმოებული მეტალურგიული პროდუქციის საერთო რაოდენობით მესამე ადგილი დაიკავეს საბჭოთა კავშირში. ნუ დავიწყებთ, რომ პირველი ფოლადი აქ მხოლოდ ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ გამოადნეს!

საქართველოს ელექტროსადგურებმა გასულ წელს 6 მილიარდ კილოვატ-საათზე მეტი ელექტროენერგია გამოიმუშავეს.

ორმოცდაექვსი წლის მანძილზე საქართველოში აშენდა 1.000-მდე კარგად მოწყობილი მსხვილი სამრეწველო საწარმო. ახლა ისინი ერთ კვირაში უშვებენ იმდენ პროდუქციას, რამდენსაც ამ ნახევარი საუკუნის წინათ მთელი 12 თვის განმავლობაში უშვებდნენ საქართველოს საწარმოები.

ქვანახშირის მოპოვების დონემ საქართველოში 1966 წელს 1913 წლის დონეს 37-ჯერ გადააჭარბა

1921 წელს საქართველოში 550 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფეს, ხოლო 1966 წელს 226 ათასი ტონა. ჩაის საკრეფად იყენებენ მანქანა „საქართველოს“, რომელსაც 1966 წელს სოფლის მეურნეობის თანამედროვე იარაღ-მანქანების საერთაშორისო გამოფენაზე ოქროს მედალი მიეკუთვნა...

ჩემი შვილები და შვილიშვილები

65 წლის ქალი ვარ. მთელი ჩემი სიცოცხლე სოფელში გავატარე. ქმართან ერთად საბჭოთა მეურნეობაში ვმუშაობდი, ვზრდიდი სამ შვილს. განა დავიჯერებდი ამ ოცდაათი წლის წინათ, რომ ჩემი შვილი ბექირბი მეცნიერი გამოვიდოდა, დაწერდა წიგნებს და მისი წიგნებიდან სხვები ცოდნას ამოკრეფდნენ? ახლა კი მჯერა. ჩემი ბექირბი ყველა დედისათვის საამაყო შვილია. მის სახელს განსაკუთრებული ხატყვა „დოქტორი“ მიემატა — ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი.

მეორე შვილი — უფროსი — სკოლის დირექტორად მუშაობს ჩვენს სოფელში, ხოლო ქალიშვილი მეზობელი სოფლის ბავშვებს ასწავლის.

ჩემმა შვილიშვილებმაც კი იციან იმაზე მეტი, რაც ჩვენ დაზრდილებმა არ ვიცოდით. ორი მათგანი ჯერ კიდევ სკოლაში დადის, უფროსი —იზოლდა თბილისის უნივერსიტეტში შესასვლელად ემზადება.

ლ. ხასია,

სოფელი ორჯონიკიძე, ზუგდიდის რაიონი.



მაღლდება სოფლის კულტურა

ჰიათურა. დიდი და ლამაზი სოფელია ხრეითი. უკანასკნელ წლებში ძირეულად შეიცვალა სოფლის სახე. აქ აშენდა საშუალო სკოლის სამსართულიანი შენობა 440 მოსწავლისათვის, კოლმეურნეთა საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, საავადმყოფო. სოფელს ამშვენებს ფართო გზები. სოფლის გზების ორივე მხარეს ოდასახლებში ელექტრონათურა კაშკაშებს და რადიოს ხმა ისმის. კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთები ვენახების ტალავრებს დაუმშვენებია.

მარტო უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ახალმოსახლეობა იზეიმა 250-ზე მეტმა ოჯახმა. ამჟამად 50-ზე მეტი ოჯახი იშენებს ასეთ სახლებს.

სურათზე: სახალხო გმირის არსენა ოძელაშვილის ძეგლი მცხეთაში.



სურათზე: რესპუბლიკური ბიბლიოთეკის ერთ-ერთ დარბაზში.

„უწერა“ — ჯანმრთელობის კერა

მამისონის უღელტეხილის რაიონში თვალწარმტაც ადგილას მდებარეობს კურორტი უწერა. აქ მიწიდან ამოჩქეფს ათობით წყარო, რომლებსაც იყენებენ კუჭ-ნაწლავის დაავადებათა სამკურნალოდ.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი კურორტ უწერას განვითარების შესახებ და გადაწყვიტა იგი გადააქციოს რესპუბლიკური მნიშვნელობის ბალნეოკლიმატურ კურორტად. წელს დაიწყება მშენებლობა, 1968 წელს კი საექსპლოატაციოდ გადასცემენ 200-ადგილიანი პანსიონატის კომპლექსს, რომელიც მთელი წლის განმავლობაში იმუშავებს.

გარდა საძილე კორპუსებისა, მას ექნება კლუბი და სასადილო. პანსიონატის ძველ შენობაში რეკონსტრუქციის შემდეგ განლაგდება ჯანმრთელობის კერის სამკურნალო ნაწილი. მომსახურე პერსონალისათვის შენდება საცხოვრებელი სახლი.

პანსიონატი მინერალური წყაროების საბაზანო შენობას, რომელიც მდინარის მეორე ნაპირას მდებარეობს, დაუკავშირდება საჰაერო საბაგირო გზით.

ჯანმრთელობის კერის მშენებლობისათვის გამოყოფილია 500 ათასი მანეთი. მთავრდება პანსიონატ „უწერას“ პროექტის შემუშავება.

გზა მოვიდობისა...

ხვალ გაფრინდებით არწივნო, ვხედავ
და გადალახავთ მაღალ მწვერვალებს,
ნახავთ სამშობლოს, აკოცებთ დედას
სულ იზეიმებთ და იმღელვარებთ.

ისევ დაგვტოვებთ, ვაჰ, ჩვენს გაჩენას,
კედლებს ვაწყდები, როგორც აფთარი,
კვლავ ვეღარ ვნახავთ, რაც თქვენ გვაჩვენეთ,
სულში ჩადგება ისევ ზამთარი.

ჩვენი ცხოვრება მწარე წამია,
ბედის ჩივილი და შეჩვენება,
ნუგეში ჩვენთვის მხოლოდ ღამეა —
სიზმრად სამშობლო მოგვეჩვენება.

გზა მშვიდობისა! მე კი ნიადაგ
მელის ობლობა, სეტყვა და მეხი.
გრძნობით დავკოცნით აქ იმ ნიადაგს,
სადაც სიმღერით დაადგით ფეხი.

ს. ნატაშვილი,

პარიზი, 1965 წ

სოფლების კეთილმოწყობა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკოლმეურნეო მშენებლობის სამმართველოს თანამშრომელთა მთავარი საზრუნავია. ეს სამმართველო შეიქმნა სულ ცოტა ხნის წინათ — გასული წლის შუა ხანებში, და უკვე ბევრი რამ გაკეთდა.

კოლმეურნეობებში ბინების, საწარმოო სათავსების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო, სამედიცინო, სასკოლო დაწესებულებების და სხვა ობიექტების მშენებლობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი ამ სამმართველოს კომპეტენციას შეადგენს. იგი ანაწილებს საშენ მასალებს, ახორციელებს კონტროლს სამშენებლო სამუშაოებისადმი, ხოლო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ჯგუფები, რომლებიც რესპუბლიკის 31 რაიონში მოქმედებენ, ტიპობრივ პროექტებს ათახმებენ ადგილის რელიეფთან. ეს ჯგუფები ადგენენ აგრეთვე საკოლმეურნეო სოფლებში სარემონტო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას.

— წელს ვახორციელებთ 57 მილიონი მანეთის მოცულობის საკოლმეურნეო მშენებლობას, — განუცხადა ჩვენს კორესპონდენტს სამმართველოს მთავარმა ინჟინერმა მ. გაჩეჩილაძემ. — მუშაობა წარმოებს სოფლების რეკონსტრუქციისა და განვითარების პროექტების მიხედვით, რომლებიც შედგინა სასოფლო მშენებლობის საწელმწიფო საპროექტო ინსტიტუტმა 32 კოლმეურნეობისათვის.

შეხვედრები ქართულ მიწაზე

ფრანგი პარტიზანის ჩანაწერები

გლეხები ხალისიანად მუშაობდნენ. მათი უმეტესობა ხანში შესულები იყვნენ, მაგრამ ყველანი ბედის კმაყოფილი ჩანდნენ, ისე უცინოდათ სახე, იმდენად ბუნებრივი და გულწრფელი იყო მათი გამოხედვა.

სოფელში დაბრუნდით. დაიწყო მრავალი სადღეგრძელო: გარდაცვლილის ხსოვნისა, ოჯახის წევრებისა, შარლ დე გოლისა, მშვიდობისა...

თავმჯდომარე ამაყად აცხადებს, რომ ჩვენი მეგობრის ვაჟიშვილი კოლმეურნეობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი იმედია. ჩვენ ეს სრულებითაც არ გვიკვირს. შაქროს წრთობის ადამიანს მხოლოდ ასეთი თავაზიანი, შრომისმოყვარე და ნებისყოფიანი შვილი უნდა ჰყოლოდა.

თბილისში დაბრუნებისას მოგზაურობის მარშრუტი მნიშვნელოვნად შეკამცირეთ. გზაში ჰექა-ქუხილმა მოგვისწრო, მერე ხანმოკლე, ძლიერმა წვიმამ დაფარა ჰორიზონტი.

დარწმუნებული ვარ: ჩვენს მეგობარს მარიეს დიუპუის მხოლოდ ერთი დღე რომ ჰქონოდა საშუალება ჩვენთან ერთად ემოგზაურა, ის სწორედ იმ დღეს აირჩევდა, როცა აკურა მოვინახულეთ.

ერთ რამეზე დამწყდა ძალიან გული: ჩვენი მოგზაურობის დღეები საქართველოში რთველს არ დაემთხვა. სიამოვნებით ვნახავდი კოლმეურნეობის ზვრებში გაჩაღებული ხალისიანი შრომის დღესასწაულს. ახეთის სოფელი ჩვენ მშვიდი, თითქმის დასვენებული ვიხილეთ. უეჭველია სექტემბერში მას სხვა სახე ექნება. იქნებ რომელიმე ჩვენგანი მომავალში ელირსოს ჯიღეც რთველს აკურაში! ეს დიდი ბედნიერება იქნებოდა.

ძლიერი ადამიანი

ვლაპარაკობ პოლკოვნიკ ბაქრაძეზე.

გერმანელთა ზურგში მოქმედი პარტიზანული პოლკის ყოფილ მეთაურზე.


საშუალოზე მაღალი, ჩასუქებული. პირველად იგი ჩვენთან სადილზე მოვიდა „ინტურისტის“ რესტორანში. რამდენიმე დღის შემდეგ კი უკვე მისი სტუმრები ვიყავით „თბილისის ზღვის-პირა“ რესტორანში („თბილისის ზღვა“ — ყოფილი მღაშე ტბა. ამჟამად მასში მდინარე ჩადის და სიმღაშეც დაკარგული აქვს). ეს ადგილი თბილისელთათვის იმასვე წარმოადგენს, რასაც ბორდოელებისათვის არკაშონი.

ბაქრაძეს თან ახლდა მისი პარტიზანული შეიარაღებიდან ცოცხლად გადარჩენილი რამდენიმე ამხანაგი. მათ 21 ათასი კილომეტრი გაიარეს ბრძოლით მტრის ღრმა ზურგში. ცხადია, ბევრი დაკარგეს ამ დიდ გზაზე, მაგრამ რა მძიმე დარტყმები აგემეს მტერს!

ბაქრაძემ განაცხადა, რომ მასთან ერთად იმყოფებოდა ტყვეთა ბანაკიდან გაქცეული ორი ფრანგი ამხანაგი. მოხდა შეტაკება, და ფრანგები გმირულად დაეცნენ ბრძოლის ველზე. ყოფილმა მეთაურმა ისინი დიდი სიყვარულით გაიხსენა.

ბაქრაძე, ამჟამად საქართველოს მარმარილოს წარმოების ტრესტის დირექტორი, ისეთი ადამიანია, რომელიც თუ ახლოს გაიცანი, ვეღარ დაივიწყებ. როგორ გავიხარებდით ჩვენ ყველანი, თუ მას ერთ მშვენიერ დღეს საფრანგეთში ვიხილავდით სწორედ იმ ადგილებში, სადაც ფრანგი პარტიზანები და მისი მემამულენი ერთად შეუპოვრად და მტკიცედ იბრძოდნენ საძულველი მტრის წინააღმდეგ.

პოლ გუსკეი.
საფრანგეთი.



დასასრული. დასაწყისი იხ. „სამშობლოს ხმა“ № 7.

რეაქტიული ძრავები პლანტაციებში

რეაქტიული თვითმფრინავის ჩამოწერილი ძრავა „მსახურობს“ კოხორის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობაში. მისი გამოყენების წინადადება წამოაყენა საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ინსტიტუტის საპრობლემო ლაბორატორიის გამგემ, პროფესორმა შ. კერესელიძემ. თვითმფრინავის ძრავა გამოდგა ერთ-ერთი ეფექტიანი საშუალება, რომელიც კარგად იცავს ნაზ მცენარეებს დამლუპველი სუსხისაგან.

შუა პლანტაციაში ორ-სამ მეტრ სიმაღლეზე დადგმული ძრავა იწვევს გამთბარი ჰაერის გრიგალურ რადიალურ მოძრაობას. ერთ საათში ასეთ ძრავას შეუძლია გამოჰყოს ოცდახუთი მილიონი კილოკალორია. თბილი ჰაერი 180-200 მეტრზე ვრცელდება. ეს საკმარისია 10 ჰექტარი ციტრუსის პლანტაციის გასათბობად.



რენტგენის სხივები ხილულია!

ქართველმა გამომგონებელმა დაამტკიცა

ეს დაამტკიცა გ. ა. ტარსაიძის სახელობის თვალის რესპუბლიკური საავადმყოფოს ფიზიოლოგიური ოპტიკის ლაბორატორიის გამგემ, საქართველოს სსრ დამსახურებულმა გამომგონებელმა ლ. ხუროძემ. სამოცდაათი წლის მანძილზე რენტგენის სხივები უხილავად ითვლებოდა. ასე ფიქრობდა მათი აღმომჩენი ვილჰელმ კონრად რენტგენი.

საბჭოთა და უცხოელ სპეციალისტებს არაერთხელ შეუნიშნავთ იქს-სხივების უცნაური ნათება. უცნაურ მოვლენას მათ უწოდეს რენტგენის სინათლის ფენომენი. მაგრამ მეცნიერებს რენტგენის სხივები კვლავ უხილავად მიაჩნდათ. ისინი ვარაუდობდნენ, რომ თვალის გუგა იყენებს „ანათებს“, როგორც რენტგენის ეკრანი. და თვალი ხედავს სწორედ ამ ნათებას და არა საიდუმლოებით მოცულ სხივებს.

ლ. ხუროძემ ექსპერიმენტულად დაამტკიცა რენტგენის სხივების ხილვადობა. მან თითქოს „საიდუმლოებით მოცული ბურუსი“ გაფანტა. ამისათვის მკვლევარმა მარტივი ცდა მოაწყო: მან სიბნელეს შეჩვეულ თვალს დააფარა წვრილნახვრეტებიანი ტყვიის ფირფიტა და მას მიუშვირა რენტგენის გამოსხივების წყარო. ლითონის „ფარში“ მკაფიოდ მოსჩანდა ნახვრეტის ნახატი.

დამატებითმა ცდებმა დაარწმუნეს ოპტიკოსი, რომ რენტგენის სხივების ხილვადობა დაკავშირებული არ არის თვალის ფლოურესცენციასთან. სხვადასხვა სიგრძის ტალღების იქს-სხივებზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ თვალის სასინათლო გრძნობიერება მათდამი ერთნაირი არ არის, ხოლო თვალთახედვის არე მათში ისეთივეა, როგორც ჩვეულებრივი სინათლის დროს. ასეთი გზით მკვლევარმა არა მარტო დაამტკიცა რენტგენის სხივების ხილვადობა, არამედ ახლებურად გამოიყენა ისინი.

არის შემთხვევები, უთხრა ჩვენს კორესპონდენტს ლ. ხუროძემ, როცა ავადმყოფს შეღვრეული აქვს თვალის ბროლი ან რქოვანი გარსი. როგორ დავადგინოთ ასეთ შემთხვევაში, რომ დაზიანებული არ არის თვალის ბადისებრი გარსი. ამაზეა დამოკიდებული, შეიძლება თუ არა ადამიანს დავუბრუნოთ მხედველობა.

თვალის დაავადების უფრო ზუსტი დიაგნოზის დასმა ახლა შეიძლება ლ. ხუროძის განსაკუთრებული დანადგარის მეოხებით, რომელსაც კონსტრუქტორმა რენტგენოადაპტომეტრი უწოდა. ხელსაწყოს მუშაობის პრინციპს საფუძვლად უდევს თვალის ბადისებრი გარსის მიერ რენტგენის სხივების ხილვადობა.

ცნობილია, რომ ლინზის და, რა თქმა უნდა, აგრეთვე თვალის ბროლისა და რქოვანა გარსის საშუალებით შეუძლებელია ზემოკლე ელექტრომაგნიტური რხევების ფოკუსირება. მათზე მოქმედებს მხოლოდ თვალის ბადისებრი გარსი. ბრმა რომ რენტგენის სხივს დაინახავს, დიდი ბედნიერებაა. ეს ნიშნავს, რომ მეტწილ შემთხვევაში მას შეიძლება მხედველობა დავუბრუნოთ!

ლ. ხუროძე თვითნასწავლი გამომგონებელია. მას არა აქვს სპეციალური განათლება. მან ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის წრეებში დაიწყო მუშაობა და რესპუბლიკის სხვადასხვა ლაბორატორიას შესთავაზა თავისი შედეგები. ლ. ხუროძე დიდხანს მუშაობდა ტექნიკოს-რენტგენოლოგად, გატაცებით სწავლობდა რთულ სამედიცინო აპარატურას. ამე თანდათანობით იძენდა გამოცდილებას.

ლ. ხუროძეს დიდი გეგმები აქვს. იგი აუმჯობესებს და ახორციელებს მთელი რიგი სამედიცინო ხელსაწყოებისა და ინსტრუმენტების კონსტრუქციას, უწევს დიდ პრაქტიკულ მუშაობას — იკვლევს პაციენტთა მხედველობას. ლ. ხუროძეს კი ბევრი პაციენტი ჰყავს. ზოგიერთმა მისი დახმარებით დაიბრუნა მხედველობა.

ჯ. ცხოვრელიძე.



სურათზე: თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტები.

უცნობი სტრიქონები

საქართველოში დიდი ზეიმით აღინიშნა გამოჩენილი ქართველი რეჟისორის, საქართველოს სსრ სახალხო არტისტის სანდრო ახმეტელის დაბადების 80 წლისთავი. დედაქალაქში, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა დიდი საიუბილეო საღამო.

დიდი რეჟისორის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოები გაიმართა აგრეთვე სანდრო ახმეტელის მშობლიურ ქალაქ სიღნაღში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში.

გაზეთ „სამშობლოს ხმის“ მკითხველებს ვთავაზობთ სანდრო ახმეტელის უცნობ სტრიქონებს. იგი გადმოგვეცემილია უურნალ „ცისკრიდან“.

* * *

სანდრო ახმეტელის საიუბილეო დღეებში საქართველოს სახალხო არტისტმა დოდო ანთაძემ ერთი მეტად საინტერესო დოკუმენტი გადმოგვცა. ამისათვის დიდ მადლობას ვუხდით. წერილი დიდი არ არის, მაგრამ გვერდების ნომერაცია ათიდან იწყება. ეს იმას ნიშნავს, რომ მას წინ უძღოდა ცხრა გვერდი. წერილს თარიღი არ უზის, თუმცა სავსებით გარკვევით ჩანს, რომ იგი რუსთაველის თეატრიდან კოტე მარჯანიშვილის წასვლამდეა დაწერილი. წერილში მოცემულია „დურუჯის“ წევრების მოკლე დახასიათება. საფიქრებელია, რომ იგი გამიზნული იყო იმ სპეციალურ ჟურნალში დასაბეჭდად, რომელიც 1926 წლის იანვარში გამოვიდა „დურუჯის“ სახელწოდებით ამ კორპორაციის დაარსების ორი წლისთავზე. ჟურნალში მოთავსებულია ახმეტელის თეორიული ხასიათის წერილი. შესაძლებელია, ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტი სწორედ ამ დაბეჭდილი წერილის გამოუქვეყნებელი ნაწილია. როგორც ჩანს, ახმეტელს სურდა, კორპორანტების დახასიათება, მაგრამ შემდეგ გადაუფიქრებია.

გამოუქვეყნებელ წერილში დახასიათებულია პ. კანდელაკი და ივ. აბაშიძე. ისინი კორპორაციის წევრები გახდნენ მხოლოდ 1926 წლის იანვარში (პირველი — 21 და მეორე — 22 იანვარს. იხ. „დურუჯის“ ოქმი № 107, 108). მაშასადამე, წერილი ვერ დაიწერებოდა 21-29 იანვარს. გამოქვეყნებულ სტატიას აქვს შენიშვნა: მასალის გვიან მიღების გამო წერილი წინა რიგებში ვერ მიდისო. შესაძლებელია, ახმეტელმა წერილის მეორე ნაწილის (ჩვენს ხელთ არსებულის) საბოლოო დამუშავება ვეღარ მოასწრო და გამოუქვეყნებელი დარჩა. ამ გამოუქვეყნებელ წერილში იგრძნობა „დურუჯის“ სულისკვეთება. ყველა კორპორანტი დადებითად არის დახასიათებული, შენიშვნები გაკეთებულია დიდი სიფრთხილით, ტაქტით. ავტორი ცდილობს ხაზი არ გაუსვას საზოგადოების მიერ გამორჩეულ მსახიობებს, არ მოახდინოს მკვეთრი დიფერენციაცია მათი ნიჭისა და უნარის შეფასებაში. ამხანად „დურუჯს“ უკვე ჰქონდა გარკვეული შინაგანი წინააღმდეგობანი, რომელიც შემდეგ თანდათან გაღრმავდა. ამიტომ ახმეტელი ცდილობს ყველა დაახასიათოს ისე, რომ არავინ გააღიზიანოს. ჩანაწერი „დურუჯის“ ძმობისა და მეგობრობის იდეით არის გაჟღენთილი.

ქვემოთ აღნიშნულ დოკუმენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმითაც, რომ იგი დაწერილია 4-5 თვით ადრე, სანამ თეატრიდან მარჯანიშვილი წავიდოდა.

კორპორანტების დახასიათებას ვაქვეყნებთ იმ თანმიმდევრობით, როგორც ეს ახმეტელს აქვს. იბეჭდება მცირე შემოკლებით.

კოტე მარჯანიშვილი

„იდეოლოგი თეატრში, საკმაო იყო მის გულს მოხვედროდა მშობლიური სიო, რომ მას ეგრძნო უკუღმართი ბედი ქართველი თეატრის და აი, კიდევაც იწყებს მთელი თავისი ნიჭით, უნარით ქართული თეატრის შენებას. მისი იდეოლოგიითაა მოსალტული კორპორაცია „დურუჯი“.

მისივე ცეცხლით არიან ანთებულნი ყველა მასთან მომუშავე დურუჯელები.

თეატრის გარდაქმნა შეიძლება უპირველესად არტისტის გადახალისებით. კორპორაცია „დურუჯი“ რაზმავს ახალგაზრდებს ახალი შემოქმედებისათვის. ყველა იცნობს ამ რაზმს.

ძველები წავიდნენ. ვის უტოვებთ ქართულ თეატრს, ვინ გასწევს მათ მაგივრობასო, ამბობდნენ ურწმუნონი.

ვპოვეთ, ვპოვეთ. აი ისინიც:

თამარ ჭავჭავაძე

„5 წელი სცენაზე. — ორი წელი უბრალო თანამშრომელი. შემდეგ მცირე როლები და ბოლოს ლაურენსია. გამოცდა იყო სასტიკი, საშიში. მარცხი და... გათავდა. თამარა იმარჯვებს და იზრდება რწმენა, რომ შენდება მომავალი საძირკველი ქართული თეატრის. თამარამ ცხადჰყო ტემპი ქართველი არტისტის, ემოციის“.

გიორგი დავითაშვილი

„აღზრდილი რუსულ სცენაზე. მოკრძალებული. ლანდივით დადის თეატრის კულისებში, იგი უნდა გატყდეს, დაიფერფლოს, რომ ახლად შეეწიროს ახალ ღმერთს[1]. ბევრი ეჭვობს, ძნელი საქმეა. მაგრამ იმარჯვებს დავითაშვილი. მოსხლტილ ვეფხვივით აკეთებს ნახტომს და ადის მწვერვალზედ. მშვიდი, წყნარი ცხოვრებაში, სცენაზედ გახელებული მიექანება რკინის ნებისყოფით. მომავალში დიდ შედეგს მიაღწევს“.

ელენე დონაური

„რუსულ სცენიდან გადმოსული. გაუბედავი, დინჯი, წყნარი ცხოვრებაში, სცენაზე მან იცის არაჩვეულებრივი ანთება, სახასიათო როლში იგი არაჩვეულებრივი გამოჩნდა. ახალი თეატრის ემოცია, ტემპი ისე სწრაფად იგრძნო, რომ მისი გამარჯვება საერთო იმედად გადაიქცა“.

გუგუშა შავიშვილი

„ყველაზე ახალგაზრდა კორპორანტთა შორის. ნიჭიერი. „დურუჯი“ მას განსაკუთრებული ყურადღებით ზრდის ახალი თეატრისათვის“.

აკაკი ვასაძე

„ახალგაზრდა მოხვდა ძველებს შორის. მისი არავის არ სჯეროდა. შეში-

საბჭოთა ხელოვნება

№ 8, აპრილი, 1967 წ.

სანდრო ახმეტელის დაბადების 80 წლისთავის გამო

□

ნებული აკაკი მე პირველად 1920 წელს ვნახე სცენაზედ. მარწმუნებდნენ, მერჩია წასულიყო სცენიდან. ვერ იცნობდნენ. აკაკის გული კი თეატრისადმი სიყვარულით ფეთქდა. საჭირო იყო აკაკის გამოცდა. ბედმა არ უბედურა. მენგო და აკაკი, აკაკი და მენგო. ვინ შესძლებს ახლა ამ ორი პიროვნების ერთი მეორეს დაშორებას!? დეე სცადონ.

ეს არ იკმარა ვასაძემ. მისი „მეფე" ჰამლეტში უკვე დახელოვნებული მსახიობის ნაყოფია. მოიგონეთ მისი სცენა ჰამლეტთან, როდესაც იგი გათოკილი შემოჰყავთ მასთან. თქვენ დაინახავთ, რომ ეს ერთი მცირე დეტალიც კი საკმარისია, დარწმუნდეთ თუ რა ღირსეული ძალა ეზრდება ქართულ თეატრს".

შუანგი ჩხეიძე

„გუშინდელი თანამშრომელი. სტატისტთა შორის 1920 წელს ჩნდება სცენაზე. არავინ იცნობს, არც არავის აგონდება. გამქრალი იქნება ალბათო. ბოლოს რამდენიმე მცირე როლი და უცბად ჰამლეტი. კ. მარჯანიშვილს სიცილით შეხედნენ, როცა გაიგეს, რომ ჩვენ მას ასეთი არაჩვეულებრივი როლი მივეცით. ასეთი ექსპერიმენტები იშვიათია, მაგრამ უშანგის მიმართ — ეს ექსპერიმენტი არ იყო. უშანგისა გვჯეროდა ყველას. დეე, თქვას ვინმემ, რომ უშანგის სახით ნამდვილი არტისტი არ ვპოვეთ. მომავალი მის წინაა. მის გამარჯვებებში ეჭვი არავის აღარ ეპარება".

აკაკი ხორავა

„გუშინდელი სტუდიელი: ორი-სამი წელი სცენაზედ. სახიფათოა მასთან მიდგომა, ნორჩია სასცენო მეშაობისათვის. მასალა კი ძლიერია ყოველმხრივ. იგი ახლა თვითრეჟისორში, დუღილშია. ემედი დიდია. შემოქმედებითი ტანჯვა მას ახალისებს და ახარებს. გვჯერა მისი ძალისა და გამარჯვებაც არ ასცდება".

შალვა ღამბაშიძე

„მრავალმხრივ საინტერესო მასალა, მასთან მიდგომა ყოველმხრივ შეიძლება. რაც უფრო ბევრს მუშაობ მასთან, მეტ შესაძლებლობას გრძნობ. „დურუჯისათვის" იგი მეტად საიმედო ძალაა, მისი სჯერათ და მეგობრული გულისცემით ელიან მისი მონაცემების სრულ გამოაშკარავებას".

მიხეილ ლორთქიფანიძე

„მუდამ გახელებული. დურუჯელია ყველგან, ცხოვრებაში და სცენაზეც. მან ყველას დაანახვა, რომ ახალ თეატრს მისი სახით მეტად ჯანსაღი ძალა ჰყავს. როლთან იცის ფრთხილი მიდგომა და თუ იგრძნო მერე სიშიში აღარ არის, გახელდება და გამარჯვებასაც არ დაგიგვიანებს".

დოდო ანთაძე, ივი (კუკური) პატარიძე, ალექსანდრე გველესიანი

„ახალი თეატრის გუშაგნი — რეჟისორები. მომავალი საპასუხისმგებლო მუშაობისათვის ემზადებიან. „დურუჯი" მათთვის ყველაფერია. თეატრი მის გარეშე არც უნდათ და ვერც წარმოუდგენიათ. მათი ბედი მომავალშიც უფრო ჰასტიკია. ეს მათ იციან. მომავალი თეატრისა მის ხელშია. **დოდომ** უკვე დაამარჯვა. იგი სავსებით გრძნობს თეატრს და არტისტის ფსიქიკას. თვალი აქვს სასტიკი, ვერაფერს ვერ გამოპარებ. ეს კი აუცილებელია რეჟისორის მუშაობაში. ჯერი **პატარიძეზეა**. მას გაალმასებული ტემპი და ემოცია აქვს. ჩვენი იმედიც ამაშია. **გველესიანი** — დირიჟორი და რეჟისორი. არაჩვეულებრივი შეერთება ორი პროფესიისა, რომელი სძლევს მასში, ეს მომავლის საქმეა. ნათესაობა ორივეში კი დიდია. რეჟისორი იგივე დირიჟორია, ძალიან უყვარს თავისი საქმე".

ლევან გოთუა

უგზო ქარავანი

მოთხრობა

— სად გეჩქარება, მამა გიცხონდა! — და სხვა გაიყვანა მის მაგიერ.

ორმოცდაცხრაჯერ დაიგრუხუნა კარმა. გაიცალა კომკი. ბეჟანი ორმოცდამეათე იყო და ახლა მარტო დარჩა. სულ მარტო.

აღარც ის უცხო ორთითა მოდიოდა. ბეჟანს მეხსიერებაში ნაჭდევად დარჩა მისი სახეშეშლილი ირი, ულმად გასული, მკაწრავი თვალები, ჰინით შეღებილი მეჩხერი წვერი, მოტკლეპილი თავი და კეფაზე შერჩენილი აძაგრული თმა, ვეფხისფერი წამოსასხამი შილიფად მოეხურა, თითქოს საქმიანობის დროს მისი გაძრობა უხდებაო წამდაუწუმ.

იგი მაინც მოვიდეს... იგი მაინც! ველარ აიტანა სიჩუმე ბეჟანმა. ახალგაზრდობას უფრო უჭირს მარტოობა. ჯერ სიმღერა სცადა. არ გამოუვიდა, გატეხილი ქვევრის ხმა გამოიღო დაცარიელებულმა საკანმა. მერმე სიარული იწყო. აჩხრიალა ბორკილი. ველარც ამითი გააფრთხო სიჩუმე. მაშინ კარის მორაკ მისწვდა, დაუწყო უმოწყალოდ ჯაჯგუნი... ხმა არც მაშინ გასცა ვინმემ. თითქოს ყველანი ამოწყდნენ დილეგში.

დაიღალა. უნებურად მიყუჩდა. მამის ირგვლივ შემოიფარგლა ფიქრი. ის ხომ გარეთაა? ასე არ დაგდებს ბეჟანს. ჰალაბის დილეგამდე მოაგნებინებს მამის გული. კიდევ კარგი, რომ არც დაუცადეს მაშინ. არც გაამხილეს გორგასალის გარეთ ყოფნა, მასაც მოელოდა ტყვეობა.

დიდმა დრომ განვლო, ბეჟანის ფიქრით, იმოდენამ, რომ გაეშვათ, საქართველომდე მიაღწევდა, ალბათ.

ბოლოს, ფეხის ხმა მოქმა. ადგა. აიშოტა კართან.

ხახა დააღო კარმა, თითქოს დაამთქნარა. ასწია ზედა ჩარბი.

კარს იქით ისევ იგი, ორთითა კაცი იდგა. ახლა მას სხვა, ახალი სამოსი ჩაეცვა, ხელპირი დაებანა. წვერი ჩამოევარცხნა, ხოლო კეფაზე შერჩენილი აძაგრული თმა ბეწვიან ჩალმაქუდით დაეფარა. ორი თითით კრიალოსანს ჰკენკავდა. სახეცვლილი ჩამქრალი თვალებით შემოხედა ბეჟანს და ხელი აუქნია.

ბეჟანმა ხელი ამოავლო ფეხბორკილებს და უსიტყვოდ გაჰყვა. მის უკან დაიგრუხუნა კარმა, დააკაკპაპა ღრჭილები და დადუმდა.

ვიწრო კიბეზე არავინ შეხვედრიათ. ეზოში ჩავიდნენ.

ალაყაფში ქარავანი გადიოდა, ხოლო მოშორებით, შეხვესებულ კედელთან მიწაც თხრიდნენ თუ ორმოს აჭედნენ ასკერები.

ალაყაფთან აქლემი ელოდა უკანასკნელ ტყვეს. თოკჯაჭვით მიაბორკეს ბეჟანი აქლემს და ფეხაჩქარებით წინ წასულ ქარავანს აადევნეს.

მარცხენა კოშკისაკენ გაიხედა ბეჟანმა. იქ სრული სიჩუმე სუფევდა.

„ქარავანს თუ გააყოლეს ისინიც", — გაიფიქრა და ნაბიჯს მოუმატა.

ჭალაქს თავიდანვე უგანა ქარავანმა. კონიის გრძელსა და დამტვერილ გზას აედევნა ნელი ტაატით.

ბეჟანს სული უსწრებდა ქარავნის დასაწევად. მაგრამ ქარავანბაში ბოლო აქლემს თითქოს განზრახ ათრევინებდა ფეხს. თავადაც იკავებდა ცხენს. შუბოსნებიც წინ გაისტუმრა. „საბანაო ადგილის შესარჩევად, კარვებია დასადგმელად".

ბეჟანი გზადაგზა განზე აცეცებდა თვალებს, ალბათ, მამამისი სადმე აქ იქნება ახლომახლო. იქნება თვალი მოჰკრას? თითქმის დარწმუნებული იყო და ციხის მარტოობას გადარჩენილი — უკეთ გრძნობდა თავს.

ესაა, რომ აქლემი უმლიდა მზერას. უფრო სწორად — აქლემზე გადაკიდებული მოზრდილი ხურჯინი. ხოლო უფრო ზუსტად რომ ვთქვათ — უშუალოდ ხურჯინი კი არა, არამედ ბუზები, ამ ხურჯინის ორთავ ჯიბეს რომ ეფებოდნენ ირგვლივ.

„ან კი რა თაფლი მიაქვთ კონიაში?" — ფიქრობდა ბეჟან, გაშმაგებით იგერიებდა ბუზებსა და მამის დანახვის იმედით თვალებს აცეცებდა გზაჯვარედინზე.

მამია მეხსიერება გამოჰყვა შვილსაც. გზებშიაც კარგად ერკვეოდა. აი, იქ, დიხაზხო ხეობის სათავეში რომ მოჩანს გზის ანატკეცი, აღმა შებრუნებული რომ მისდევს თხემ-თხემ, იგია — სანუკვარი გზა. ერთი თვე ცხენმარჯვედ რომ იაროს ბეჟანმა, საქართველოში მიიყვანს ეს გზა. ეჰ, იმ საოცნებო საქართველოში, სადაც მან ბავშვობა და ყრმობა გაატარა, ხოლო ვაჟკაცობა კი აღარ დასცალდა.

„იქნებ აღარც დაგცალდეს!" — ლაჯებში ყრუდ ჩხრიალებდნენ ბორკილები. „მაშინ მამა მაინც წავა ამ გზით" — ეხმიანებოდნენ ბორკილებს ფიქრები... მაგრამ ბუზები არ აცლიან ფიქრებს. აულში უძვრებიან ხურჯინის ირგვლივ მოზუზუნე ბუზები.

სანუკვარ გზაჯვარედინთან უცებ შედგა აქლემი. ქარავანბაშმა შეაჩერა. თავად ჩამოვიდა ცხენიდან.

— აი, ის გზა, იცი, შენ, სად მიდის?! — ღრუდ გამოთქმული ქართულით შეეკითხა ბეჟანს.

— ვიცი! იქ... საიდანაც ამ გზით არ უნდა წამოვსულიყავ არასდროს!

ქარავანბაშმა ორი თითი დაადო მხარზე:

— შენი კარგი ვაჟკაცი დადგები, მამის მადლი შენთვის ალალია.

უცებ დაიხარა, წელიდან ჩამოხსნილი გასაღებით ფეხბორკილი გაუხსნა და გააშორა.

გაოგნებული ბეჟანი უძრავად იდგა. ისკანდერმა აქლემს ავშარა დაუწია და მუხლებში მათრახი დაჰკრა. გაჭირვებულად აქლემი, მაგრამ ცხვირის ნესტოში გაყრილმა რგოლის სიმწვავემ თავი დაახრევინა და ჩააჩოჩა. ისკანდერმა დიდ ხურჯინს ზევით დამაგრებული საკაკვი ქეჩა გადასწია და თოფრა გადმოიღო.

— მამის თოფრა?! — უფრო განცვიფრდა ბეჟან. მაგრამ როცა თოფრას ყურზე გამობმული მამის მცირე ჯვარი შეამჩნია, მაშინ შეძრწუნდა.

ოჰ, ბავშვობაში, მამის მკერდზე, რამდენჯერ შეთამაშებია ბეჟანი ამ გადალესილ ვერცხლის მცირე ჯვარს.

უცერად ბუზები შემოაფრინდნენ, სახე და ფიქრი დაუკბინეს.

— მამა ად არის?!

— იარე! ხეირი ნახე! — ხელი აუქნია ისკანდერმა და აქლემს მოუხიდა ასაყენებლად.

— ვერ წავალ! უნდა ვიცოდე მამის... ყველას ამბავი... სად არიან ჩვენები... ორმოცდაცხრანი... ჩვენი საკნიდან?

— ორმოცდათი, — გაუსწორა ისკანდერმა. — შენ შენი იკითხე ახლა.

მოულოდნელად ბეჟანმა ყველაფერი შეიგულისხმა, ტვირთიც, ბუზებიც. ნესტოები აუთამაშდა. საფეთქლებთან დარეცა ზარმა და წვივებამდე ჩავიდა ზრიალით.

— ანგარიში შეგმლია, ჯალათო, ერთი თავი დაგკლებია! ჩემი თავი... ჩემი!..

— მე გაგითავე ანგარიში. არაფერი მაკლია. ასის ნახევარი მუდამ ორმოცდათია!

მერმე თითქოს შესამოწმებლად დახედა სპილოს ძვლის კრ ალოსანა და ხმა მოილბო:

— მამაშვილობას, დროს ტყუილად ჰკარგავ! იარე!

საშინელმა მიხვედრამ თითქოს ხმალი შემოჰკრა ბეჟანს.

— ჩემი მაგიერი მინდა ვნახო! ჩემი მაგიერი! — შესძახა და ეძგერა აქლემის ტვირთს. გაწყვიტა ხურჯინის გარსაკრთასმა და ჩაიხედა. ისკანდერმა შეუძახა აქლემს. ზლაზვნით იწყო წამოდგომა აქლემმა. გახევებულ ბეჟანის წინ ზედიოდა ხსნილი ხურჯინი საშინელი ნადავლით.

ხოლო იგი ველარაფერს ხედავდა მშობლის ღიად დარჩენილ თვალებს გარდა.

გორგასლის სიკვდილშიაც ღიად დარჩენოდა თვალები.

ბეჟანი მისწვდა ამბორად... მაგრამ წამის შემდგომ უკვე ქვევით ჩამორჩა ხურჯინს. აქლემი ადგა უკვე. შვილს რაღაც ციფის გრძნობა დარჩა ტუჩებზე.

მუხლები ჩაეკეცა.

დანარჩენი ბურანით იყო მოცული... რაღაცას ეუბნებოდა ქარავანბაში, არიგებდა, ქისაც კი ჩაუგდო მამისეულ თოფრაში. ისიც კი უთხრა: „არ უწვალიაო მოხუცს". თავის მარჯვენა დაიფიცა, ერთი დარტყმით მოვკვეთეო. სიტყვა შეესრულებინა პირნათლად.

ერთიღა მოახერხა ბეჟანმა:

— კი, მაგრამ, იმან თუ ირჩია, შენ რაღას უსურვებდი? ურჯულოვ! შენ რაღას?!

— მე მამა ვარ. შენც გაიგებ, როცა მამა იქნები!

სახსრები მოეშალა ბეჟანს, დაემხო გზაზე, აქვითინდა და... როცა თავი ასწია, შორს, ხრიოკი გორაკის მუხლთან ქარავნის დასაწევად ცხენს მიაჩქარებდა თურქი. მას უკან ძუძუნით მისდევდა ავშარადაჭიმული აქლემი. კუზებს შორის ჩამოტეხილ ფრთებად თრთოდნენ ხურჯინის ამობურთული ჯიბეები... გაფრენას ლამობდნენ თითქოს.

მერმე გაუჩინარდა საშინელი ქარავანი, მიწყდა ბორკილების ჩხრიალი.

ბეჟანი ადგა და საქართველოსაკენ იბრუნა პირი.

მიდიოდა და გულისყურში მიჰქონდა უგზო ქარავნის ზინზილაკია ხმა, ხოლო თოფრაში მამისეული მცირე ჯვარი და საკაძის ხმლის ნატეხი თუ ნამუსრევი.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სამშობლოს ხმა" № 4, 5, 6, 7.

ნუჩრიდან ნუჩუაში

ფ. 17/48 L-207

ეს საინტერესოა

ხორბალი — მაგნიტი

ყოველივე ცოცხალი — დაწყებული მიკროორგანიზმებით და დამთავრებული ადამიანით — განიცდის დედამიწის მაგნიტური ველის ზემოქმედებას.

ბიოლოგები, აგრონომები, ინჟინრები ცდილობენ ამოხსნან ცოცხალ ორგანიზმებზე მაგნიტის გავლენის საიდუმლოება. მისი გაშიფვრა საშუალებას მოგვცემს გარეგულიროთ ორგანიზმების ცხოველქმედობა, ხოლო კიბერნეტიკოსებს შესაძლებლობას მისცემდა გადმოეღოთ ბუნებისაგან მართვის ზოგიერთი ხერხი. სპეციალისტები ცდილობენ გამოარკვიონ, აქვს თუ არა თესლს — შესწავლისათვის მოხერხებულ ობიექტს — საკუთარი მაგნიტური ველი, როგორიც აქვს რკინასა და ფოლადს. ცოცხალი არსებანი ხომ წარმოადგენენ ელექტრული ველისა და ბიოპოტენციალების ბუნებრივ წყაროს.

როგორ მოიქცევა ხორბლის მარცვალი, თუ თავისუფლად ჩამოვკიდებთ მაგნიტურ ველში? ასეთი ექსპერიმენტები განახორციელა ჩვენში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტმა. მიღებულია მოულოდნელი შედეგები. აღმოჩნდა, რომ თესლის ზოგიერთ ნიმუშს აქვს საერთო თვისებები — ისევე როგორც ლითონის ნახერხი, ისინი თავისთავად განლაგდებიან ხოლმე მაგნიტური ძალური ხაზების გაყოლებით. დადგენილია აგრეთვე, რომ ხორბლის მარცვლების საკმაოდ დიდი რაოდენობა მაგნიტურ ველში ბრუნავს ყოველთვის ერთსა და იმავე მხარეს კომპასის ისრის მსგავსად. ეს მარცვლები, როგორც წესი, თავიანთი ჩანასახის მხარით მუდამ მიბრუნდებიან მუდმივი მაგნიტის ჩრდილოეთის პოლუსისაკენ. მაშასადამე, ისინი მაგნიტურად პოლარული არიან, — დაასკვნეს ბიონიკის ლაბორატორიაში.


რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტსა და კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტში განხორციელდა მაგნიტურად აქტიური თესლის ანატომიური, ბიოქიმიური და სპექტრული ანალიზები. გამოკვლევამ ცხადყო, რომ მათში გაცილებით მეტია ზრდის ნივთიერებანი (გეტეროაუქსინები) და დაახლოებით 10-ჯერ მეტია რკინისა და ნიკელის მიკროელემენტები.

მაგნიტურ ველში ხორბლის ქცევის კანონზომიერებათა გამოსარკვევად მუშაობა მხოლოდ დაიწყო. ვფიქრობთ, შევძლებთ მივიღოთ კიდევ ბევრი დიდმნიშვნელოვანი ცნობა ცოცხალ ორგანიზმებში ბიომაგნიტური ველების ორგანიზაციის შესახებ. ახლა ინსტიტუტში არკვევენ ფიზიკურ-ქიმიურ პროცესებს, რომლებიც წარმოიშვება მარცვალ-მაგნიტებში. ეს საშუალებას მოგვცემს გმართოთ მათი ცხოველქმედობა.

მ. ხვედელიძე,

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

ჩვენი საყვარელი თბილისი



დედაქალაქის ჩირაღდნები.

ექვემბრიული შესვედრა

საზოგადოება „სსრ კავშირ-საბერძნეთის“ საქართველოს განყოფილებაში მეგობრული შეხვედრა გაუმართეს შესანიშნავ ბერძენ მსახიობს ასპაზია პაპატანასიუს, რომელიც როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, თბილისში იყო სავასტროლოდ.

შეხვედრის გახსნისას საზოგადოების განყოფილების თეატრალური სექციის პრეზიდენტმა, საქართველოს სახალხო არტისტმა დ. მჭედლიძემ აღნიშნა ასპაზია პაპატანასიუს შთაგონებული ტალანტი. საბერძნეთი ქვეყანაა, — თქვა მან, — რომელიც მსოფლიოს აკვირვებს თავისი უძველესი თეატრალური კულტურით. მთელი მსოფლიო მოაჯადოვა ასპაზიას, ჩვენი ძვირფასი სტუმრის ტალანტმა.

საზოგადოება „სსრ კავშირ-საბერძნეთის“ საქართველოს განყოფილების თავმჯდომარემ „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ს. ყაუხჩიშვილმა ბერძნულ ენაზე წარმოთქვა სიტყვა. მოხარული ვარ, აღნიშნა მან, რომ კიდევ ერთხელ ვხედავ სცენაზე ამ შესანიშნავ მსახიობს. ჩვენ გვიყვარს ასპაზიას მედეა — ადამიანის ძლიერი ვნებათაღელვის განსახიერება.

პირდაპირ მანცვიფრებს, — განაცხადა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ვ. ანჯაფარიძემ, — ასპაზიას ზემოქმედების, ადამიანურობის ძალა. როცა იგი სცენაზეა, რიგითი მაყურებელივით ვღელავ. მხოლოდ იმას შეუძლია ავიდეს ხელოვნების ასეთ მწვერვალზე, ვისაც ესოდენ უყვარს თავისი ხალხი და თვითონაც უბრალო ხალხის შვილია.

— ასპაზიას თამაში, — თქვა საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა დ. ჭიჭინაძემ, აღმაფრთოვანებს მეც და სპექტაკლ „მედეას“ სხვა მონაწილეებსაც. ხშირად ისე გაგვტაცებს პაპატანასიუს თამაში, რომ მაყურებლებად ვიქცევით ხოლმე. მადლობას ვუძღვნით მსახიობს შთაგონებული თამაშისათვის.

შემდეგ გამოვიდა ასპაზია პაპატანასიუ. მან ილაპარაკა თავის შემოქმედებითს გზაზე, უახლოეს გეგმებზე, იმაზე, თუ რა გულთბილად შეხვდნენ საბჭოთა ადამიანები. ეს გულითადობა, თქვა მან, ძალას მმატებს.

ასპაზია პაპატანასიუს უძღვნეს სამახსოვრო საჩუქრები.

სოფლის კლუბში

ჩ ო ხ ა ტ ა ურ ი. სოფელ ფარცხმის საკოლმეურნეო კლუბი მშრომელთა თავშეყრის საყვარელი ადგილია. მუშაობის შემდეგ აქ ისინი შინაარსიანად ისვენებენ, კითხულობენ ახალ ჟურნალ-გაზეთებს, ისმენენ საუბრებს.

კლუბთან არსებულმა ბიბლიოთეკამ სოფლის ყველა მშრომელი გახადა თავის მკითხველად, აქ ეწყობა მკითხველთა კონფერენციები, ლექციები, საუბრები.

კლუბში მოწყობილია საიუბილეო გამოფენები თემებზე: „როგორი იყო ჩემი სოფელი წარსულში და როგორია ახლა“, „მამათა გზით“.



მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

სარედაქციო კოლეგია



თბილისი, ზ. ათონელის ქ. № 25.